წელიწადი მეცხრე.—№ 426

პარასკევი, 7 ივნისს 1874.

# დროება

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА".

**ხელის-მოწერა**

ტფილისში: გაზეთის „დროების" კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА".

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ჩ[illegible]ნოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

**შ ი ნ ა ა რ ს ი:**

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: ტფილისი, 7 ივნისს 1874 წ.—წვრილი ამბები—„დროების" კორრესპონდენცია: ქუთაისიდგან—მეც მეთქმის ერთი ქართული—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი—წერილი პარიჟიდგან—ნ ა რ ე ვ ი.
ფ ე ლ ტ ო ნ ი: ჩვენებური იეზუიტობა, მეველისა.

# საქართველო

**ტფილისი, 7 ივნისს 1874 წ.**

ჩვენში შესახებ ახალი თაობისა ერთობ დაბნეული შეხედულებაა. ამ ნაირს მდგომარეობას დიდი ზარალი მოაქვს, როგორც საზოგადოებისთვის, აგრეთვე ახალი თაობისთვისაც. ცხადია, ვისაც ვისმესთან საქმე აქვს, ისინი კარგათ უნდა იცნობდნენ ერთმანერთს; ნამეტურ მაშინ, როდესაც ეს „საქმე" ერთი უპირველეს საჭიროებათაგანია, და რომლის უხეირო წაყვანაზედ დამოკიდებულია ქვეყნის ბედი და უბედობა. ავხსნათ მაგალითით.

ყოველი საზოგადოების პროგრესსის, მისი ყოველ გვარი განათლებისა და სიკეთის წინამძღვარი—ყოველგან ახალი თაობა ყოფილა და იქნება. ეს იმისთვისაა, რადგანც ახალი თაობა ნაკლებათ აიტანს ძველს წყობილებას, ძველათგან დადგენილს უსამართლობას და უმეცრებას. ახალგაზდა ტვინზედ, ნორჩ წაუმხდარ და გაურყვნელ ადამიანის ბუნებაზედ, ყოველთვის მეტი ზედმოქმედება აქვს კეთილსა და ბოროტსაც, ვიდრე ცხოვრებაში შეჩვეულს, მოუძლურებულს ძველს თაობაზედ. ამისთვის საზოგადოება სასოებით უმზერს ახალი აზრისა და მიმართულების წარმომადგენელებს, აკვირდება მათ სიტყვასა, მათ მოქმედებას. თუ მოსწონს, იჭერს იმათ მხარეს, უერთდება თავისი გავლენით და გამოცდილებით, და ახალი აზრი იმარჯვებს.

მაგრამ როდესაც საზოგადოება, მინდობილი ახალი მიმართულების წარმომადგენელებზედ, პირველი ნაბიჯების შემდეგ რწმუნდება, რომ მისი მოწინავე პირები შარლატნები ყოფილან, რომ იმათ საზოგადო ყურადღებისა და პატივისცემის დამსახურება მხოლოდ თავისი საკუთარი ანგარიშებისთვის ნდომებიათ და საზოგადო სარგებლობა სრულიადაც აღარ აგონდებათ—მაშინ საზოგადოება კარგავს იმათზედ დარწმუნებას და ლანძღავს იმათ. მასთან ამავე ბედს ხვდება ის მიმართულებაც, რომლის სახელით ისინი ლაპარაკობდენ. ყალბი და ეგოისტური ახალგაზრდობა თავის უსინიდისო და უჭკუო მოქმედებით უხსტავს გზას შემდეგს თაობას კეთილის სამსახურისთვის. ის ერთბაშათ უტეხს სახელს მომავალს და საზოგადოება რჩება ისევ წინანდელ უმეცრებაში. ამნაირ დანაშაულობასთან რომელი მამაკედინებელი ცოდვა გამოჩნდება?

მაგრამ ის პირნი, რომელნიც გაფლიდებულან, გამომდგარან საკუთარი სიამოვნების და სარგებლობის მეძიებელი, ჩამოვარდნიათ თავისუფლებისა და განათლების რიდე სახიდამ—კიდევ არ ტყდებიან თავის მოქმედებაში და ძველებურად აბეჯითებენ ნაკლებათ გამჭრიახ კაცებს, რომ ისინი წარმოადგენენ სწავლისა და ზნეობის უკანასკნელს, უახლესს სიტყვას!

ამნაირი ხალხის დევნა საჭიროა, როგორც საზოგადოების მხრით, აგრეთვე ჩვენგანც. ამნაირი საპატიოების გამოაშკარებას მოითხოვს სამართლიანობა და უმანკოება თვითონ ახალი მიმართულებისა. ამისთვის ჩვენ მოვიწოდებთ ყველას, მომეტებულის ყურადღებით დააკვირდეს ახალგაზრდა განათლებულ (?) ყმაწვილებს. თუ კი მათ მოქმედებაში ნამდვილი საზოგადო მოღვაწეობა სჩანს, თუ კი ისინი არა პირადის სარგებლობისათვის იფარვენ ჭეშმარიტებას, მაშინ საზოგადოება უთუოდ დააფასებს იმათ მსხვერპლს, თორემ მოლაქლაქე ჯიბის მტენელს და ჯამი-ტლეკია განათლებულებს მიენდოს, ის როგორც ახალ გვარ ფარისეველებს, შეცდომა აქ ძნელია. გაუფუჭებელი ადამიანის გონება ერთბაშათ გამოარჩევს ნამდვილს კეთილის მსურველს შარლატანისაგან.

ჩვენ ბევრჯელ გაგვიგონია საყვედური ახალ მიმართულებაზედ, ახალი თაობის წყალობით. საზოგადოება როდი არჩევს აზრს ცალკე, და აზრის გამომხატველს ცალკე; ამაში ის გასამტყუნარიც არ არის. „ათი-თხუთმეტი წლის წინათ, მეუბნებოდა მე ერთი ჩემი ნაცნობი კაცი, ჩვენ ვისაც კი კოთხო ქუდი ეხურა და სერთუკი ეცვა განათლებული და პატიოსანი კაცი გვეგონა. მაგრამ როდესაც დავაკვირდით, დავრწმუნდით, რომ ისინი არც საზოგადო მოღვაწე ყოფილან, არც კეთილშობილი გრძნობისა. ეს ისევ ის სერთუკ-გადაცმული, მაგრამ უფრო ლამაზათ შეკერილი ძველი ჩინოვნიკობა გამოდგა. ჩვენ სხვა ახალი თაობა არ გვინახავს და რათ დაგვიწუნებთ, რომ გულ-გატეხილი, უსასო ვიყოთ დღეს! სანამ არ დაგვანახებთ თქვენს უანგარობას, მანამდის ჩვენსა და ახალ-თაობას შუა არავითარი განსხვავება არ შეგვიძლია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველას მგლის ტანზედ ცხვრის ტყავი გადაგიცვამთ. აი საზოგადო აზრი ახალ თაობაზედ."

ამ ნაირს განჩინებას, დიდი სიმართლე აქვს. ჩვენ ვითხოვთ მხოლოდ ერთს, რომ ხალხი ყველა „პრაშა-პრუშის" მცოდნე, სერთუკიანს კაცს თავისიანად არ უყურებდეს. ახალი მიმართულება სრულიად არ აგებს პასუხს იმ კაცებისათვის, იმ წრისთვის, რომელთაც თავის დროშაზედ დაუწერია: „საკუთარი კმაყოფილება, რათაც არ ღირდეს!"

მოყვარე მტერი რომ კაცს გაახეიბრებს და ავნებს, ნამდვილი მტერი იმის მესედსაც ვერას უზამს.

ამისთვის ჩვენ იძულებელი ვართ პირველად ყალბი ახალი-თაობა ვდევნოთ, რომელიც ხალხის მეგობრობას ჩემულობს. მაგრამ მოსულიერდება ცოტად თუ არა, იმ წამსვე მგლის კბილებს და მელის ვერაგობას იჩენს.

მეველე.

## წვრილი ამბები

— „ტფილისის მოამბე" გვატყობინებს რომ ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის წესდება დაამტკიცესო. ეს ქართლ-კახეთისათვის სასიამოვნო ამბავი იმერეთისათვისაც სასიხარულო უნდა იყოს, რადგანაც იქაური ბანკის კომმისიის წევრები იქნება ეხლა მაინც აჩქარდნენ. თავის ზოზინს ეს წევრები აქამდის სხვა და სხვა მიზეზით განმარტებდნენ. ბოლოს დროს პირში ისა ჰქონდათ, რომ ტფილისის ბანკის წესდების დამტკიცებას ვუყურებთ, თუ ეს წესდება დამტკიცდა, მაშინ იმასთან ჩვენს წესდებას შევათანხმებთ და ისე წარვადგენთ, რომ დამტკიცების ეჭვი არა გვქონდესო. მაგრამ რა საზრახი იქნებოდა ვითომ ქუთაისის ბანკის კომმისიისათვის, რომ იმას ეს წესდება აქამდის წარედგინა? ტფილისის ბანკის წესდებაც ხომ შესცვალა რამდენიმედ მთავრობამ? თუ საჭიროდ დაინახვიდა ქუთაისისასაც შესცვლიდა და ისე დაამტკიცებდა. თუ ვინიცობა ქვეყანა გადაბრუნდებოდა და არც ტფილისისა და არც ქუთაისის ბანკის წესდება არ დამტკიცდებოდა, ვითომ რა დიდი შრომა და ხარჯი დაიკარგებოდა? უხეიროდ ათი ათასობით საბანკე ფულების ხარჯვას ის არა

## ჩვენებური იეზუიტობა.

უცნაური რამ თავის გასამართლებელი სიტყვები მოუგონია ძველათგან მამა იეზუიტებს; ისინი აღიარებენ, რომ კეთილი საქმის მისაღწევად კაცმა არა ვითარი საშუალება არ უნდა დარიდოს, ეს არის მათი არსებობის საფუძველი.

ყოველი წევრი სახელ-განთქმული და ძლიერი საზოგაებისა—რომელსაც ეწოდება „იეზუიტის ორდენი"—ვალდებულია იხელთმძღვანელოს თავის მოქმედებაში ამ შეუბრალებელი პრინციპით, და მცირედი გადახვევა „ორდენის" კანონებისა, გულ-ჩვილობა, სათნოება—ისჯება სასტიკად. ამ ნაირი წყობილების გამო „იეზუიტის ორდენს" შესანიშნავი და ყოველგან გამსჭვალველი გავლენა ჰქონდა, და ესპანიაში, მექსიკაში, ბრაზილიაში არ მოსპობია დღესაც.

ამ „საზოგადოებაში" თითოეული წევრი უბრალო მაშინათ, ბრძანების ბრმა აღმასრულებელათ არის გადაქცეული. ის ერთი მცირე პრუჟინაა ვეება მეხანიზმში და მთელს თავის ნიჭს, ძალას, ლტოლვილებას სწირავს საზოგადო მიზანს. რასაკვირველია, სადაც ამ გვარი თავგანწირული მორჩილება და სამსახურია საძირკველად რომელიმე საქმისა, იმისი მდგომარეობა ძალიან კარგათ უნდა იყოს. მაგრამ ამ სახელგანთქმულს „ორდენს" აღმოუწერელი სიძულვილი და ზიზღი შეუმცნევია გულში ხალხისთვის. ეს გრძნობა არ ისპობა დღესაც, რადგანაც იეზუიტები ძველს ცოდვებს და მტარვალობას, ნიადაგ ახალ ახალსაც უმატებენ.

ამ ნაირი კაცები, ვინ იტყვის, რომ საზარელი არ იყვნენ, მაგრამ იმათ დანაშაულობას ჰფარავს ცოტათი ის გარემოება, რომ აქ პირად ანგარიშს არა ვითარ ადგილი არა აქვს. ისინი ყველაფერს შვრებიან: ატყუებენ, ცბიერობენ, აშინებენ, სტანჯვენ, და კიდევაცა ჰკლენ უსაშინელესის სიკვდილით, მაგრამ ისევ სულ თავის „ორდენის" განძრახვისათვის. იეზუიტების ისტორია ერთი უბნელეს და უსასტიკეს ფურცელთაგანია კაცობრიობის ისტორიაში. მათ მოქმედებაში თქვენ ხედავთ მგელს, სატანად გარდაქცეულს. მაგრამ ყველა ეს ბოროტება და შემაძრწუნებელი საძაგლობა „უმაღლესი" საჭიროებისათვის ხდება; ვიმეორებ: ეს გარემოება ბევრად ამსუბუქებს იეზუიტების პასუხის გებას.

მაგრამ რა ეთქმის იმ საპატიო ხალხს, რომელსაც ესვე იეზუიტური პრინციპი დაუწერია თავის დროშაზედ საზოგადო სარგებლობისთვის კი არა, პირადი კმაყოფილებისთვის? არიან ისინი ყოველ იეზუიტზე და ბოროტ კაცზე ბევრით უარესი თუ არა? პასუხი, ვგონებ საეჭვო არ იყოს; განჩინება ადვილი წარმოსათქმელია. მაშ, ეხლა შეიტყვე მკითხველო, თუ ჯერ არ იცი, რომ ამ ნაირი საპატიოები გახლავან ჩვენშიაც, და საუბედუროთ მრავალნი.

სიდამ დაიბადა ეს ქვეწარმავალები, რითი იმართლებენ თავს? მოგახსენებთ: ბოლოს დროს ლიტერატურში სამ გვარი „გმირები" იყვნენ გამოყვანილნი.

ყოველი ახალგაზდა, რომელსაც ცოტაოდენი თავის მოყვარეობა ჰქონდა და სურდა დაეჭირა საზოგადოებაში პატივსაცემელი ალაგი—უთუოდ ერთს ამ სამ „გმირთაგანს" იღებდა მაგალითად. ახალგაზდობა ჰბაძავდა ამ რომანებიდამ ამოღებულ ტიპებს, არა თუ უმთავრესს მიმართულებაში, არამედ გარეგანათაც. მაიმუნობა საყოველთაო სენი იყო იმ დროში; მაგრამ ეხლა ამაზედ სამუსაიფოთ ნუ მოვიცლით. ავხსნათ ხელახლავ, რაში მდგომარეობს ის სამნაირი მიმართულება, რომელსაც ჩვენ ვლაპარაკობთ.

პირველნი აღიარებდნენ, რომ „ყოველი საშუალება სამართლიანია საზოგადო ბედნიერებისთვის." ესენი გაახლებული იეზუიტნი გახლდენ, მაგრამ მებძოლნი უკეთილშობილესი მიზნისათვის.

მეორენი ჰქადაგებდნენ „რომ კეთილი და პატიოსანი საქმისთვის, გარდა პატიოსანი საშუალებისა, სხვა არ უნდა იხმარებოდეს". ისინი არ უთმობდენ საზოგადოებას თავის რწმუნებათაგან არც ერთი იოტისოდენს. აქაც ჩვენ ვერასფერს ვხედავთ ახალს. ძველი რომის რესპუბლიკელები განუხრელად ასრულებდენ ამ კანონს.

უკანასკნელად—მესამე მიმართულება ამტკიცებდა რომ „შესაძლებელია და საჭიროც მცირე რასმეებში უთავაზოს კაცმა საზოგადო აზრს, მაგრამ უმთავრესი მიზანი

სჯობდა, თეითონ ბანკის საქმეზედ მოეხმარათ ცოტაოდენი ფული! ან იქნება საჭიროდ სთვლიდნენ, რომ ქუთაისის ბანკი თფილისისას კუდში გაჰყოლოდა? მაგრამ თფილისში რომ ბანკის საქმე არ დაწყებულიყო, რას იზამდნენ მაშინ ქუთაისის ბანკის მოთავე კაცები?

ქმარა წარსულზედ ლაპარაკი. ეხლა ჩვენ ვისურვოთ, რომ ქუთაისის ბანკის კამმისიას თავისი საქმე უფრო რიგიანად წაეყვანოს. თუ ეხლაც ძველებური უთაურობა გამოიჩინა ხსენებულმა კამმისიამ, უნდა ვიფიქროთ, რომ იმათ მხრით საქმის დაგვიანება სულ სხვა მიზეზის ბრალია, და არა იმისი რასაც აქამდის ეფარებოდნენ.

---

—სოხუმში მომკვდარა ქლექით „ბუთნისდედის“ რედაქტორი აგრონომი ალექსანდრე ვართანოვი.

---

ვლადიკავკაზში—საქალაქო მართველობის კანონი შესულა ძალაში. როდის მოუწევს ნეტავი ქუთაისსაც რამე სიკეთე.

---

— ნიჭიერი სომეხთ აქტიორი ამერიკიანი ამ ჟამათ სტამბოლში წარმოდგენებს მართავს თურმე. ერთადიმას სუნდუკიანცის პიესა „პეპო“ წარმოუდგენია. ეს კამედია საუკეთესო თხზულებაა უფ. სუნდუკიანცისა და უეჭველია კარგს შთაბეჭდილებას მოახდენდა სტამბოლელ სომხებზედ. იქნება ქართველებიც მალე გავხდეთ ამ კამედიის თფილისის სცენაზედ მნახველი, რადგანაც რაფ. ერისთავმა თითონ აქტორის დახმარებით ეს თხზულება ქართულად გვითარგმნა. ჩვენ ერთი ნაწილი წაგვიკითხა უფ. რაფ. ერისთავმა და როგორც თხზულება, ისე თარგმანი ძლიერ მოგვეწონა. იმედია, რომ აქტორი „კრებულში“ დასაბეჭდად გადმოგვცემს ამ მშვენიერს თხზულებას.

---

— გაზეთი მშაკი გვაცნობებს, რომ პარიჟის უნივერსიტეტში ძველი სომხური ენის კათედრას გარდა ახალი სომხური ენის კათედრის დაწესებასაც აპირებენო.

---

— ბორიდგან სწერენ „მშაკს“ რომ ახლად მიცვალებულს იოსებ ბაბალოვს თავისი სახლები ბორის საქალებო შკოლისათვის უანდერძებია.

---

## «დროების» კორრესპონდენცია

ქუთაისი, 3 ივნისს 1874 წ.

ნეტავ თუ კიდევ სადმე იყოს და ნეტავ თუ ვისმეს უნახავს რომელიმე მიყრუებულს ქალაქში ქუთაისის ზოგ-ზოგი ახალგაზდა ქალების წრეზედ უსაძაგლესი სურათი! არ ვიცი, რა გული უნდა ჰქონდეს იმ კაცს, რომელიც ამათი თვალის გადავლების დროს ნაღვლიანათ არ ამოიხვნეშებს და ზიზღით გულ-შეიწრებული, ამათ მოქმედებას თვალს არ არიდებს. არ ვიცი სხვებზე როგორ მოქმედებს მზგავსი სულ-მდაბლობა, რომელსაც მე ზოგიერთ ახალ-გაზდა ქალებს ვამჩნევ და ჩემის აზრით ეგ ქალები და პირუტყვები სრულებით ერთნაირი შეხედულების ღირსი არიან. რა განრჩევაა მათში მის მეტი, რომ პირველს კაცის სახე აქვს, და უკანასკნელს პირუტყვის? მოქმედება გავარჩიოთ, გარჩევა არ შეიძლება,—უკანასკნელმაც პატრონის კმაყოფილებისთვის უნდა იმოქმედოს და პირველმაც; საკუთარი (ანუ თავისუფალი) აზრი, როგორც უკანასკნელისთვის, ისე პირველისთვის ჯერ ჯერობით არ დანიჭებულა, ყურებ ჩამოყრილ პირუტყვსაც ბაწარ ჩაბმული ათრევენ, ოცი და ოცდა ორი წლის ქალმაც ქოფაკი დედის დარიგებაზე უნდა იაროს, თუნდ წყალში ჩავარდნა უბძანოს, ის თავის გულს ვერ დაეკითხება, სიჩქაროდ უნდა დამორჩილდეს. რისი ღირსია ის სულ-მდაბალი და შესახედავათ საზიზღარი მშობელი, რომელიც ახალგაზდა ქალს სიყმაწვილიდგან აკარგვინებს თავმოყვარეობას, ინტერესისთვის აჩვევს სულმდაბლობას. ავიწყებინებს ყოველს რიგიანს აზრს, და ნორჩს გონებას სამუდამოთ უვარჯიშოდ უძინებს. რას ფიქრობენ ისინი თავიანთ ქალების დანიშნულებათ, და რისთვის სცხოვრობენ ქვეყანაზე: „უნდა გადაებოროკონ, ძალა-უნებურად, რომელიმე ახალგაზდა ეაქს!“ ღმერთო ჩემო! რამდენი სიმწრის ოფლი უნდა იხოცონ საქრმოს მახეში გაბმისათვის ზოგ-ზოგმა ახალგაზდა ქალებმა, მაგრამ იმათ სიყმაწვილიდგანვე ისე აქვთ დედიდგან ჩაგონებული: „თავმოყვარეობა განზე უნდა გადადვა, როცა ინტერესზეა საქმეო“ და ისინიც აღარ დასდევენ. აი მოგიყვანთ ნამდვილ ფაქტს ქუთაისიდგან. ამის მზგავსი რამდენი არის ვინ მოსთვლის, მაგრამ მეტადრე ამ ნორჩი ქალის სულმდაბლობამ შემაზიზღა ზოგიერთი ქუთაისის ქალები და არ შემიძლიან, ორი სიტყვა არა ვსთქვა. ვის არ გაგიგონიათ, უსაქმოთ კარისკარ მაწანწალა, მეჭორე სუთ-კნეინა, რომელიც დილიდგან საღამომდის, ყველა ნაცნობების სახლს მოივლის და თვითეულს იმათგანს ახალჭორს მიუძღვნის. არც ევროპის ქალაქში იქნება ისეთი ცოცხალი გაზეთი, როგორიც ქუთაისში სუთკნეინაა. დილით ადრიან გამოდის სახლიდგან, იმას ოჯახის ფიქრი არ აწუხებს, წვრილ შვილებზე ძალიან ცოტას ფიქრობს, ამბავს თითონვე გამოხატავს და რაც სურს მთელს ქალაქში მოფენს, ჯილდოთ ვისგან საჩუქარს იღებს, ვისგან ალერსიანი სიტყვების გაგონებას, და ბევრის თავის დაკვრაც ბედნიერებას შეუდგენს. ამ ღირსების მეპატრონე დედას, საუბედუროდ, ერთი გასათხოვარი ქალი ჰყავს, რომლის მიზეზითაც მთელი ქუთაისი შეწუხებულია. ნეტა თუ იყოს ერთი საცოლო ვაჟი, რომლის მშობლის მონებაც დედის ბძანებით ამ საცოდავ ქალს არ შეხვდებოდეს. ნეტავ თუ იყოს ახლომახლო სოფლებში ერთი საცოლო ვაჟი, რომელსაც იმ საბრალო ქმნილების ალერსით და ღიმილით თავი მობეზრებული არ ჰქონდეს. დღეს ერთს პატიჟობ', უმასპინძლდება, საღამოს მოციქულს უგზავნის, ხვალ მეორეს, იმ კვირაში-მესამეს უახლოვდება, მაგრამ ხომ გაგიგონიათ მდაბიური ანდაზა: „შეძლეული ცხვარი მგელმაც არ შეჭამაო“, სწორეთ ასე ემართება საწყალს ქალს. დედა ავიწროვებს, თვითეულს თავმდაბლათ მოექეცი, ქალი და ცხვარი სულ ერთიაო, შენ მარტო სიცილი გმართებსო. მართლაც ეგ საცოდავი ქალი შეჩვევია მონებას, უხეირო კრეჭას, სახესაც ისეთი მეტყველება მიუღია, რომ პირველ შეხედვისა თანავე ეხატება სახეზე:“ რასაც მიყურებთ ესა ვარ, საკუთარი აზრი ღმერთს ჩემთვის არ მოუცია, მეტ ყვით რასმეს სულ ვიცინი, (და მართლაც რომ სულ იცინის) თავმოყვარების დაცვას ძალიან ცოტას დავზდევ, თორე რამდენი თავ-მოყვარების დამცირება მე შემხვედრია ვინ მოსთვლისო. ვინც წამიყვანთ, ჩემით საკუთარი აზრების შედგენა არ დამჭირდება,(გვერდით მდგომარე დედას გადახედამს,) აა! გვერდში მიდგია, მეტყვის და გამოგყვებიო, შვილებს ბევრს მოგიშენებ და ცოლქრმობაშიაც პირველი საქმე ესააო. ამ ზემოთ დაწერილ სიტყვებს, ყველა წაიკითხავთ იმის სახის-მეტყველებით და თუ კიდევ თვალი მოკარი, ერთ კასკასით სიცილს არ დაგიმადლით, რომ უფრო შესაბრალისი შთაბეჭდილება იქონიოს თქვენს გულში, და ძალა უნებურად წამოგათქმევინოს: ოხ! საცოდაო ქმნილებავ, ქვეყანაზე რის მაქნისი ხარ, და ცხოვრებაში რა დანიშნულება გაქვსო?!„აი ასე უკვდებათ ყმაწვილ ქალებს ნორჩი გონება, უხასიათო მშობლების მოქმედებით. რა უნდა ვისურვოთ ან მშობლებისთვის და ან ქალებისთვის? პირველად ვისურვოთ, ამგვარი საზიზღარი მშობლები ამოიხოცონ დედა-მიწის პირიდგან, მეორე დანარჩენს არ წაებაძოსთ იმისთვის. უკანასკნელ რაც შეეხება იმ ქალს, ვისურვოთ მისთვის, რომ იმის შრომას ტყვილა არ ჩაევლოს და უკანასკნელს მახეში, რომელიც ტანჯვით დაუგია, ერთ მშვენიერ დღეს ენახოს ქორი გაბმული, თორემ თუ ესეც ვაექცა, ან მახის გაბმა არ ცოდნია და ან ბედი არ ქონია. მაშინ მხოლოდ ერთი საშუალება დარჩებათ, თვალ-ტანადობის აწერილობა გაზეთში უნდა გამოაცხადონ, იქმნება მსურველი გამოჩნდეს, ან არა და წილი ვყაროთ: არჩევანი შენ, არადანი მე, თუმცა დედას კი ჩამოგავს, მაგრამ სამადლო საქმეა და ეს ქალი მე. კიდევ მინდოდა რაღაცეების ჩამატება, მაგრამ ვიღასიც ხმა მესმის, ვიღაც ნაცნობის ხმაა,-იცით რას მეუბნება? სადაც იყო ფთხილათ იყავო, ხელი არ გააფაცუროო.

აბა მიცანთ ვინა ვარ.

---

## „მეც მეთქმის ერთი ქართული“*)

იმისთანა რომანების მწერალს, როგორიც არის ვიქტორ ჰიუგო, ჩემისთანა კაცის ქება არ უნდა. იმისი რომანის „ოთხმოცდაცამეტის“ პირველი ნაწილი მე წავიკითხე „დროების“ 420 № ში. ამ ნაწილში სხვათა შორის ჰიუგოსაგან არის გამოხატული

(*) „ასრე ამბობენ ინგილოები, როცა იმათა აქვთ ბევრი რამე სათქმელი; და როცა ინგილოს სხვები ეუბნებიან, რომ შენ ისეთი ჭკვიანი და რიგიანი მსჯელი არა ხარო, რომ სიტყვა გეთქმოდესო, ის უპასუხებს: „მეც მეთქმის ერთი ქართული,“ ესე იგი არც მე ვარ ისეთი უჭკუო, რომ ჩემი სიტყვა არ მიიღებოდესო. ავტორი.

---

საფუძველი კი შეუხებელი უნდა დარჩეს.“

ამ აზრის კაცებს პრაქტიკები ერქვა, ე. ი. ცხოვრების მცოდნე, და ყოველ საუკუნეში, ყოველგან უფლება იმათ ჰქონიათ ხელში. აი ის სამი უპირატესი მიმართულება, რომლის ირგვლივ არიან შემოკრებილნი საზოგადო მოქმედნი პირნი. ეხლა ჩვენ განვარჩიოთ ამათგან, რომელი უფრო პატივსაცემელი და მიზნის მიმაღწეველია.

იეზუიტური პრინციპი—„მიზანი ამართლებს საშუალებას“ დიდი ხანია ჰგმო საზოგადოების სინიდისმა. მისი პირველად მომგონი საზარელი, საშინელი შეიქნა ხალხისთვის, და ყოველი კეთილშობილი კაცი ერიდება შავქამსავით იეზუიტების დაახლოვებას. მაშ ამათ სახელთმძღვანელო პრინციპზედაც ლაპარაკი ნამეტანია. ლუი ბლანი და გარიბალდი, რომელნიც საუმჯობესო წარმომადგენელნი არიან სანატრელი ზნეობისა, ერთ ხმათ სწყევლიან განახლებულს იეზუიტურ მიმართულებას;

მეორე სწავლა, ე. ი. არაფრის არ დათმობა, თუნდ საქმის გარეგანი მხარისა, თუმცა ამტკიცებს მის მიმდევნების მტკიცე ზნეობას, სიმხნეს, სიწმინდეს გრძნობისას, მაგრამ გამოუდეგარი რამე კი არის. კაცს ცხოვრებაში იმდენი დაბრკოლება და მიზეზი შეხვდება, რომ თუ ცოტა მაინც არ უთავაზა ხოლმე საზოგადო აზრს, ის ათასჯერაც მოიტეხს კისერს, სანამდის თავის მიზანს მიაღწევდეს. ამისთვის, ეს მიმართულება კარგი იყოს იქნება ბუდდასთვის, მაჰმადისთვის და სხვა ამგვარებისათვის მაგრამ არა უმრავლესობისათვის. სადაც გენიოსი ადვილად გადადის, იქ უბრალო მომაკვდავი ქვესკნელში ვარდება.

ამის შემდეგ გვრჩება ჩვენ განსახილველად მესამე და უკანასკნელი სიბრძნე, რომელიც მტკიცეა უმთავრესს მიზანზედ, მაგრამ წვრილმანში კი ითმენს საზოგადოების მოთხოვნილებისთვის თავაზს.

ჩვენის აზრით ეს უკანასკნელი აზრი ყველაზედ უფრო გამოსადეგი და შესაძლებელია ეხლანდელ დროში. ამ მიმართულების შემწეობით მოსახერხებელია საზოგადოებაში ისეთი აზრის შეტანა, ისეთი საქმეების გაკეთება, ისეთ ხალხზედ გავლენის მოპოება, რომელიც სხვა ნაირად წარმოუდგენელი იქნებოდა. მაგრამ, აქაც დიდი სიფრთხილე და სიმაგრე მართებს კაცს. ადვილად მოხდება, რომ წვრილმან თავაზს უმთავრესი მიზანიც გაჰყვეს, თუ კაცი კარგათ გამოჯანგული, შემუშავებული არ არის და ცხოვრების ტალღებს მისი შერყევა შეუძლია.

ეხლა ვიკითხოთ: რომელს ამ მიმართულებათაგანს ადგას ჩვენი ახალგაზდობა? რასთვის იბრძვის იგი? და რა ელის მას შემდეგისთვის?

ჩვენ ვგონებ ვსთქვით, რომ იეზუიტური პრინციპი სრულს დღესასწაულობაშია ჩვენში, და, საუბედუროთ, სასირცხოთ, საზოგადო განზრახვისთვის კი არა, საკუთარი ჯიბეების გასატენად.

ასალელვებელი აქ ის არი, რომ ეს საზოგადოებისთვის, თითქოს მზრუნველნი კაცები ცრუობენ და ორპირობენ, ცარცვენ და გლეჯენ ხალხსა უმაღლესი ანგარიშების გამო! ისინი ორს სამს წელიწადს აგროვებენ ფულს ათი ათას მანეთობით, იშენებენ სასახლეებს, ჰყიდულობენ მიწა-წყალს, ასესხებენ ურიული სარგებლით და რომ ჰკითხოთ: „ეი საპატიო კაცო! საით მიბრძანდებით? ამდენ სიბინძურეს რათ შვრებით? დაგავიწყდა განა, რომ შენ ქვეყნის სამსახურს და შველას აპირებდი? მაშინ ეს გადაურჯულებელი, უტიფარი კაცი წარბ შეუხუშველად გიპასუხებსთ: დიაღაც იმიტომ ვშვრები ამდენს ბოროტებას, იმიტომ ვაღარიბებ ხალხს, რომ შესანიშნავი ქველის მოქმედება რამე მოვახდინო. ეს არის ნიადაგ გასამართლებელი სიტყვები ეხლანდელი იეზუიტებისა, რომლის ხელში ჩავარდნილია დღეს ჩვენი საზოგადოება.

ყველა მშვენიერად ჰხედავს, რომ ამ ქვეწარმავალთ საკუთარი მუცლისთვის შეუწირავთ ყოველი პატიოსნება და სინიდისი. ისინი რომ მთელად გარყვნილნი არ იყონ გონებით, რასაკვირველია უნდა გატეხილიყვნენ, რომ მათი იდეალი არის მხოლოდ ბლომათ ფული, ფული, და ფული, რა ფასათაც არ დაჯდეს იმისი მოგროვება.

მაგრამ ამ საზოგადოებისგან განდევნის ღირს ადამიანებს ჩვენ მოვაგონებთ შექსპირის წინასწარმეტყველურ სიტყვებს: „რაკი ბოროტებაში შეტოპავს კაცი, შემდეგ იმას ფეხი უცურდება და ვეღარ ამოდის იქიდამ“.

მეველე.

თავგანწირულება მონარხიული სალდათებისა თავის უფროსის ლანტენაკი ღენერალისათვის. ეს თავგანწირულება სალდათებისა, რასაკვირველია, გასაკვირია და ამისათვის ჰიუგოს კიდეც მიუქცევია თავისი გამჭრიახი გონება. რადგან სალდათებს ამ ღენერალის იმედი აქვთ, რომ მხოლოდ ის შეიძლებს ლუი მეთექვსმეტის შვილის დასმას საფრანგეთის ტახტზე, ამისთვის არა ჰზოგავენ იმის სიცოცხლის დასაცველად თავის თავს. ყოველს ღონის-ძიებას ხმარობენ, რომ ის გადაარჩინონ სიკვდილს, როცა მას ზღვაში, ინგლისიდგან წამოსვლის დროს, რესპუბლიკელების ჯარები თავს დაესხნენ და ექადოდნენ მოკვლას. ხომალდი, რომელშიაც ღენერალი იჯდა, რესპუბლიკელებისაგან საშიშარს მდგომარეობაში იყო და აუცილებლად მოელოდა თავის დაღუპვას. ამ გვარს მდგომარეობაში სალდათები მოეხვივნენ ლანტენაკს და უთხრეს: "შენ სარდალი ხარ, შენი სიკვდილი საღმთო და სამეფო საქმეს ავნებს; ჩვენ უბრალო სალდათები ვართო; ჩვენი სიკვდილით ჩვენ წმინდა საქმეს არა დააკლდება რაო; მაგრამ შენი სიკვდილით კი დიდათ ევნებაო."

სალდათების ეს თავგანწირულება თავის საქმის აღსასრულებლად ჰიუგოს ისრე დიდათ მიაჩნია, რომ სალდათებს მოხსენებულ სიტყვებს ათქმევინებს და მერმე ფრჩხილებში-და სვამს. მეც ვიტყვი, რომ თავგანწირულება გულითადი სურვილის აღსასრულებლად ძლიერ მოსაწონია, ვინც გინდ იყოს და რაც გინდ მიზანი ჰქონდეს. ყველა კაცი, ვისაც კი აქვს რამე საქმე განზრახული საყოველთაოდ საკეთილო, უნდა შესწიროს თავისი თავი. ეს არის საღმთო მოვალეობა ყოველი კაცისა.

თუ რომ საჭიროა ჩვენი ხალხისათვის ამ გვარი თავგანწირულების მაგალითების თქმა საფრანგეთის ცხოვრებიდგან, რათ დარჩება უსარგებლოდ, რომ ამ გვარივე მაგალითები იმას თავისივე მამა-პაპის წარსულ ცხოვრებაში ვუჩვენოთ. თუ 1793 წელს ფრანგებსა ჰქონიათ ამისთანა თავგანწირულება; მე ვიტყვი რომ ჩვენი ქართველები არაოდეს არ ყოფილან ამას მოკლებულნი თავის წარსულ ისტორიულს ცხოვრებაში. ოღონდ კი საქართველოს ერს არაფერი ვნება მისცემოდა მტრისაგან, ოღონდ კი იმას ბედნიერად ეცხოვრნა და მტერს არ აეკლო, არ აეოხრებინა და არ დაეწიოკებინა ქართველი ხალხი, კერძო პირნი არა ზოგავდნენ თავიანთ სიცოცხლეს, ვაჟკაცურად და შეუკრთომლად სიკვდილს ეგებებოდნენ. ამის დასამტკიცებლად მე მოვიყვან ქართლის ცხოვრებიდგან ერთს ისტორიულს მოთხრობას, რომლიდგანაც სჩანს, რომ ფრანგების სალდათებზე უფრო უმეტესად ბატონისთვის თავ შემწირველნი ყოფილან ქართველები მე XIII საუკუნეში.

1215 წლიდგან ვიდრე 1230 წლამდე მონგოლების ოთხმა ნოინმა—ღენერალმა დაიჭირეს აღმოსავლეთის საქართველო და მეფე რუსუდანი თფილისში ველარ დადგა და გაიქცა იმერეთში. 1231 წელს ნოინებმა რუსუდანს მიუგზავნეს მოციქული და შეუთვალეს, რომ შენს შვილს დავით-ნარინს საქართველოში მეფობას მივცემთ, თუ მოხვალ და შეგვირიგდებიო. რუსუდანი თანახმა გახდა. ჩამოვიდა თფილისის ქალაქში. საქართველოს თავადი შვილები მას წინ მიეგებნენ. იმათში ერია აგრეთვე სამცხეს ათაბაგი ავაგიცა. ამ კაცს მონგოლები ძალიან დიდს პატივსა სცემდნენ, ამისათვის რომ ის კარგი მეომარი მხედარი და სამეფო საქმის მცოდნე იყო. ათაბაგობა ამას რუსუდანმა მისცა. ძლიერ ერთგული შვილი იყო საქართველოსი და ჰსურდა მისთვის ბედნიერება. ამ კაცის შთაგონებით ნოინებმა მოინდომეს დავით-ნარინის საქართველოში გამეფება. მაგრამ რუსუდანთან დადებილი პირობა ნოინებმა ვერ აღასრულეს. იმათ ნება არ ჰქონდათ ყაენის დაუკითხავათ მეფის დასმისა. ამ დროს უპირატეს ყაენად იყო მანგუ და იჯდა ყარაყურუმში—ჩიტაიაში და ყველას მეფობას ეს ყაენი უმტკიცებდა. და აი ახლა დავითისათვის მეფობის დასამტკიცებლად სამცხის ათაბაგი ავაგი გაგზავნეს მანგუსთან და თან გაატანეს საჩუქრად დიდად მოკაზმული ქართული ქუდი, აბჯარი, ტანისამოსი და წერილი. მანგუმ ავაგი კარგათ ისტუმრა, მაგრამ დავითის მეფობაზე არაფერი უთხრა და რამდენიმე ხნის შემდეგ უპასუხოდ გამოუგზავნა რუსეთში ბათო (Батый) ყაენს, რომელსაც, რუსეთის გარდა, ეჭირა ოვსეთი და ყივჩაყეთი. ავაგი ძალიან დაღონებული წამოვიდა რუსეთში. „ბევრი იარეს—ცოტა იარეს“ უგზო უკლოდ და როგორც იყო მოვიდნენ რუსეთში. ავაგ ათაბაგს თან ახლდა ივანე ახალციხელის შვილი დავითი რომელიც ავაგის ეჯიბი (камергеръ) იყო. რადგანაც არც ავაგმა და არც დავითმა არ იცოდნენ მიზეზი, თუ რათ გამოუგზავნა მანგუ ყაენმა ისინი რუსეთში ბათო ყაენს, ამისთვის დავითმა უთხრა ავაგს: „ვინაიდგან უცხოთა ნათესავთა მიმართ მოვიწიენით, და არა უწყით, თუ რა ყოფად არს ჩვენდა, ესრეთ განვაძრახებ, რათა ვიქმნე მე ვითარცა პატრონი და მთავარ შენდა, და შენ იქმნე მონა: უკეთუ ენებოს მოკვდინება შენი, მე მოვიკლა, და არა შენ, და არღარა ვეჭვ, უკეთუ ბატონი მოიკლას, ყმათაცა დახოცად.“ ამის გამგონმა ავაგმა დიდი უარი უთხრა იმისათვის თავგანმწირველს დავითს და უპასუხა: "თუ ჩემთვის არის სიცოცხლე სანუკვარი, აგრეთვე, შენთვისაცა; ჩემისგულისთვის შენ რათ უნდა მოკვდეო, ეუბნებოდა ავაგი. მაგრამ დავითი არ მოეშვა და უმტკიცებდა, რომ შენი სიცოცხლე საჭიროა ჩვენი დაღუპული ხალხისათვის, შენი სახელი და ხმალი საქართველოს შვილებს ამხნევებს გასაჭირს დღეშიო და მეკი აბა რა ვარ, რისთვის და ვისთვის რა მაქნისი, საქართველოსთვის რაში გამოსადეგი. ამისათვის დაე მე მოვკვდე, შენ კი ცოცხალი იყავიო. ბოლოს ავაგი თანახმა გახდა. მოვიდნენ რუსეთში. ამათი ნახვა ბათო ყაენს დიდათ გაუხარდა და რამდენიმე დღის განმავლობაში დავითი ავაგის ბატონი იყო და უპირატესობითს პატივსა სცემდა ბათო დავითს, ვითარცა ავაგის ბატონს. მაგრამ დავითმა და ავაგმა რომ „სცნეს კეთილის ყოფა ბათოსაგან და უშიშ იქმნეს სიკვდილისაგან, ერთსა დღესა შეუწოდა ბათო, და ავაგ წინა წარუძღვა დავითს: ესე რა იხილა ყაენმან, განკვირვებით შემხედველი ეტყოდა ავაგს: არასადამე მიცნიერ ხარა, ვითარმედ პატრონი არს შენი, რომელი უკანის შენსა დგას, და შენ წინასწარ მომძღოლი ხარო: ხოლო დავითი ღიმილით ეტყოდა: დიდო და გამარჯვებულო ხელმწიფეო, ეგე არს პატრონი და მე მონა მისი.“ ბათოს ძალიან გაუკვირდა და გამოჰკითხა, რა იყო მიზეზი ასრეთი ქცევისაო. დავითმა მიუგო: „მის ძალით ასე ვყავთ, დიდო ყაენო, რომელ არა მეცნიერნი ვართ სიკეთისა შენისა, და რასა შეგვამთხვევდით—არა უწყოდით: უკეთუ გენება მოკვდინება ჩვენი, მემცა მოგეკალ უწინარეს, და არა პატრონი ჩემი.“ ბათოს ძლიერ გაუკვირდა და მოეწონა დავითის თავგანწირულება და ქებით უთხრა ავაგს და დავითს: „უკეთუ ნათესავი ქართველთა ეგე-ვითარი არს, ვბრძანებ, რათა რაოდენიცა ნათესავნი არიან მორჩილებასა ქვეშე ჩვენ ყაენთასა, ყოველთა უმაღლესად აღვრაცხნე და მამული და საქონელი თქვენთა ხელთა იყოს, და ყოველსა საქმესა შინა მისანდონი იყვნეთ ჩვენგან (იხ. ქართ. ცხოვრ. გვერ. 364 და 366).“

მაგრამ ეს რა გასაკვირია. უნდა წაიკითხოთ ქართლის ცხოვრება, რომ ნახოთ ქართველების სიქველე, ვაჟკაცობა, სულ მაღლობა და სიმტკიცე ხალხური ხასიათისა. უწინდელი დროინდელი ქართველები არა ჰგვანებიან ახლანდელ მხდალ ქართველებს, თავიანთ სარგებლობისათვის ძმის ჩამკვლელებს, ერთმანერთის მოღალატეებს. უწინდელ დროში გლეხი ესარჩლებოდა ბატონს, ბატონი გლეხს, და ორივენი ერთობით საქართველოს მტერს ყბა-ყურში მუშტსა სცემდნენ. საქართველოს ბედნიერებისათვის კერძო-პირნი თავის სიცოცხლეს ანაცვალებდნენ ერის ბედნიერებას. ერთი და ორი არ არის მოხსენებული ამგვარი მაგალითები ქართლის ცხოვრებაში. თითქმის ყოველს იმის კ ა ბ ა დ ო ნ ზ ე ნახავთ მაგალითს ღირსად შესანიშნავს და ახლანდელი ქართველებისაგან წასაბაძავს. რუსის მწერალი მურავიოვი თავის თხზულებაში „Грузія и Арменія“ ამბობს: если разрыть лѣтописи грузинскія и прислушаться къ преданіямъ народнымъ, сколько подобныхъ примѣровъ можно бы внести въ нравственную сокровищницу исторіи (ნაწილი III გვერდი 177). თუ ღმერთმა მშვიდობა მომცა, ბედმა არ გვიმუხთლა და მოცლა გვექნა, მრავალს მხედრულს სიქველის და თავგანწირულების მაგალითს წავაკითხებთ ახლანდელ მშიშარა ქართველებს უწინდელი ქართველების მამაცური და საყოველთაოდ კეთილ-დღეო სამხედრო ცხოვრებიდგან, რომელსაც ისინი იძულებით მისდევდნენ.

ინგილო ჯანაშვილი.

---

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი.

ბონაპარტელი ბურგოენის ამორჩევას დეპუტატათ დიდი ცვლილება მოუხდენია პარლამენტის პარტიებს შორის.

ორლეანების მომხრე გერცოგი ოდიფრე ისე გაუჯავრებია ამ კენჭის ყრას, რომ ის ეხლა რესპუბლიკის დაარსებაზედ თანხმდება თურმე. აი რა უთქვამს ამ შესანიშნავ მარჯვენა ცენტრის თავ კაცს: „მე ვებრძოლები უკანასკნელ ღონისძიებამდე ჩემის სამშობლოს საძაგელ მტრებს ბონაპარტელებს: ნაპოლეონ მეოთხეს ყველაფერი სჯობია, ტიერი, გამბეტა და კომმუნაც. ეხლა მე მზათ ვარ, ამბობს ოდიფრე, გავიდე და დავიყვირო ჯარში „გაუმარჯოს რესპუბლიკას.“

—ჰფიქრობენ, რომ საფრანგეთის მმართველად მალე მოიწოდებენ ხელახლავ ტიერს, თუმცა ეს ცბიერი მოხუცი კი უარზედა სდგას და ამბობს, რომ მე აწ შესვენება მინდაო.

—გამბეტას შესანიშნავი სიტყვა წარმოუთქვამს ოქსერში ხალხის წინ. ის ურჩევდა ხალხს, რომ „რესპუბლიკის გამარჯვებას შეეწიეთ, რადგანაც მარტო რესპუბლიკას შეუძლია მოგანიჭოსთ თავისუფლება და სამართალი. ნამეტურ ცხარეთ და გესლიანათ ულაპარაკნია ბონაპარტელებზედ, და აფრთხილებდა მსმენელებს, რომ ამ პარტიას კვლავ აღარ დაენდონ.“ ორატორს ხშირ-ხშირად აწყვეტინებდა აღტაცებული ხალხი სიტყვას ტაშის ცემით და ყვირილით „გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს გამბეტას!“

—30 მაისს გამბეტას საშინლად აულელვებია მთელი ნაციონალური კრება შესახებ ნიევრის კენჭის ყრისა. გამბეტას უთქვამს, რომ სამხედრო და ფინანსთ მინისტრები ბონაპარტელების მონაწილე არიან და მთელი ეს ნაპოლეონის პარტია კოტრებიაო. ადვილი წარმოსადგენია როგორი შფოთი უნდა აეტეხა ამ სიტყვეს.

—ნაციონალურ კრებაში კინაღამ მუშტი კრივზე მისულა საქმე. ანრი ბრისონი, რომელიც უკიდურესი რესპუბლიკელია, შედის ტრიბუნაზედ და თხოულობს, რომ პალატამ კენჭის ყრის კანონს არ შეეხოს, რადგანც თითონ ეს პალატა იმ მეკენჭეების ამორჩეულია, რომელსაც ეხლა უპირებენ ხმის წართმევას. მაშინ საფრანგეთი—ამბობს ბრისონ—ან რევოლიუციის ხვედრათ შეიქნება ან და ბონაპარტელებას. იმ დამღუპველ პარტიას, რომელმანც სედანიდგან პარიჟში მოიყვანა გერმანიელები, ეხლა კიდევ ახალ იარაღს ველარ მივსცემთ ხელში. პალატამ ერთხელ ჩამოაგდო ტახტიდამ სამუდამოთ ნაპოლეონის სახლობა თავისი გადაწყვეტილებით და ეხლა კი ისევ უსირცხვილოთ და თამამათ იმედოვნებს ეს პარტია..“

ამაზედ ბონაპარტისტები აყაყანდნენ. მუშტების ჩვენება და თვალების ბრიალი დაუწყეს რესპუბლიკელებს.

რესპუბლიკელებიც გაცხარდნენ და უძახიან ბონაპარტელებს: თქვენ ავაზაკები ხართ! „ამ დროს ერთი ბონაპარტელის ხმა ნათლად მოისმის: „დაიცადეთ! გაყურებინებთ თქვენს სეირს, გაგაჩუმებთ ერთ დღეს.“

ამ სიტყვებზედ მთელი კრება აღელდება. ტესტელენ წამოვარდება თავის სკამიდამ, გაცეცხლებული მივარდება იქ, საიდამაც პალატის გამლანძღველი სიტყვები მოისმა: ამას გადაჰყვენ გამბეტას მომხრე რესპუბლიკელები: ედმონ ადან, შესანიშნავი ჟურნალისტი ედუარდ ლოკრუა, შორჟ პერენ, ორდინერი და სხვები. მაგრამ ბონაპარტელების სკამებზედ ერთი კაციც აღარ არის, გაიპარენ ხოხბის წიწილებივით.

პრეზიდენტმა დიდხანს ვერ დაამშვიდა პალატა.

—ამბობენ ვითომც ნაპოლეონის შვილი მაკ-მაჰონის ქალს ირთვიდეს.

იქნება სედანის გმირის მემკვიდრეს იმედი აქვს, რომ ცოლი საფრანგეთის ტახტს და გვირგვინს მოუტანს მზითევად?!

---

პარიჟი, 26 მაისს 1874 წ.

მას აქეთ რაც თქვენგან დეპეშა მივიღე, ისე გულ-მოდგინეთ აღარ დავიარები ვერსალში და მაინცა და მაინც აღარ ვცდილობ, დაწვრილებით შევიტყო ის პარლამენტალური ბრძოლა, რომელიც ასე ხშირად და ასე უნაყოფოდ იმართება იქ. მის მაგიერად, ეხლა, როგორც ნამდვილი პარიჟელი გაზეთის რაპორტერი, ისე დავწანწალებ პარიჟში და იმის ახლო-მახლო ალაგებში—იქნება, ისეთი რამე ვნახო ან შევიტყო, რომელიც თქვენთვის საინტერესო და თან გამოსადეგი იქნეს.

ბუშინაწინ, მაგალითად, ნანტერში ერთი ახირებული ჩვეულება გავიცანი საფრანგეთის ხალხისა. გავიცანი კი არა, ჩემის თვალით ვნახე ამ ჩვეულების ასრულება.

წელიწადში ერთი დღეა, რომელსაც ყველა აქაური გაუთხოვარი ქალები გულის ძგერით მოელიან. ამ დღეს „რ ო ზ ი ე რ ი ს დ ღ ე ო ბ ა ს“ (Fête de la Rosière) ეძახიან. სოფლის მოთავე კაცები (მერი და მუნიციპალური რჩევა) მთელი სოფლიდამ ამოარჩევენ ერთ ისეთ გაუთხოვარ ქალს, რომელიც ამ წლის განმავლობაში უფრო „ჭკვიანი“ იყო, რომელმაც სხვებზე უკეთესი ზნეობა და ყოფა-ქცევა გამოიჩინა, რომელმაც, ერთის სიტყვით, სამაგალითო ზნეობითი სახელი დაიმსახურა—და ამ დღეს მუზიკითა და დიდის ამბით მიიყვანებენ ეკკლესიაში, უმანკოების ნიშნად თეთრი ყვავილების გვირგვინს დაადგმენ თავზე და სხვა და სხვა ნივთებით დააჯილდოებენ. ამის შემდეგ ამ ქალს „როზიერს“ ეძახიან, იმის კარგი სახელი და ზნეობა დამტკიცებულია, საუკეთესო საქმროები იმისთვის არის.

×

აი, ამ „როზიერის“ დაგვირგვინების დღეობას დავესწარი ნანტერში.

ნასადილევის ორ საათზე ნანტერის სამეროსთან თავმოყრილი ხალხი დაიძრა; წინ

ამ კორტეჟს ბაირაღი,—მერი *) მუნიციპალური რჩევის წევრები მიუძღოდენ. შემდეგ ოცდა ათამდი თეთრად ჩაცმული ახალგაზდა ქალი, ამათ უკან მომღერლების საზოგადოება, შემდეგ მემუზიკები და ბოლოს ჯარი და ხალხი.

ჩვენ მივადექით იმ სახლს, საიდამაც დღეს დასაგვირგვინებელი ქალი უნდა გამოგვეყვანა. მერი, შარშან ამ დროს დაგვირგვინებული და სხვა სოფლის გაუთხოვარი ქალები შევიდნენ სახლში და გამოიყვანეს ეს ბედნიერი ქალი, რომელსაც, მგონია, დღეს ბევრი იმის ამხანაგები შენატროდნენ. ეს იყო ერთი პატარა, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ახალგაზდა ქალი, რომლის ზნეობას და უმანკოებას, როგორც ამბობენ, იმის ამხანაგებიც კი აღიარებენ (ქალმა რომ ქალი აქოს—ეს ხომ ძნელად მოსალოდნელია).

იმავე წესით დავბრუნდით აქედამ და ეკკლესიაში შევედით. ცოტათი ამაღლებულ ალაგზე დასვეს ოცდა ათი გასაცხოვარი ქალი; იმათ შუაში ჩაჯდა შარშანდელი „როზიერი“, რომელსაც შარშან შეძენილი გვირგვინი ეხლაც თავზე ედგა, და იმის გვერდით დასვეს ის ქალი, რომელიც დღეს მოელოდა დაგვირგვინებას. მთელი ქვეყანა ამას შესჩერებია, თითქო უკვირთ ამ „ბოროტებითა და გარყვნილობით სავსე დედა-მიწაზე“ ისეთი ქალი როგორ გამოჩნდა, რომელიც უმანკოების გვირგვინის ღირსი შექნილაო. იმას, მორცხობის ნიშნად, ნაზად თავი დაეხარა და ძირს იყურებოდა....

×

პატრმა როგორც გარემოებას შეეფერებოდა ისეთი სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ დაიწყო დაგვირგვინების წესი: შარშანდელმა „როზიერმა“ მოიხადა თავიდამ გვირგვინი; წლევანდელმა დაიჩოქა და ერთმა საპატიო ქალმა დაადგა იმას მშვენიერი თეთრი ყვავილების გვირგვინი. შემდეგ გულზე ქინძის თავი გაუკეთა, საყურები და პატარა ლამაზი ოქროს საათი ჩამოკიდა. ყველა ეს სოფლის მხრით იყო საჩუქარი. ამ საჩუქრებს გარდა სოფელმა დაუნიშნა იმ ქალს კიდევ ხუთასი ფრანკი მზითვად, მაგრამ იმ პირობით, რომ ერთი წლის განმავლობაში არ უნდა გათხოვდეს.

ოთხ საათზე ყველაფერი გათავდა, „როზიერი“ იმავე წესით გამოიყვანეს ეკლესიიდამ და შინ მიიყვანეს. საღამოს ის, თავის დედ-მამით, მერთან იყო სადილად დაპატიჟებულნი.

„ასე იყო ეს ანბავი.“

×

ეხლა აქედამ სასაფლაოზე წავიდეთ. სასაფლაოზე წასვლა არაოდეს არ არის სასიამოვნო, ტირილს, მწუხარებას, მახლობელი ადამიანის სიკვდილს მოგაგონებს. მაგრამ ნუ გეშინიათ. ჩვენ სატირალად არ მივდივართ, მწუხარება ღმერთმა თავიდამ აგაშოროთ...

×

ამას წინათ აქ ერთი წარჩინებული დემოკრატი და რესპუბლიკელი გარდაიცვალა—ალტონ სე (Alton Chèe). ამისთანა კაცის დასაფლავებაზე დასწრება ყოველთვის საინტერესოა: უეჭველია ბევრი გამოჩენილი კაცები განჰყვება და თუ რომელიმე იმათგანი სიტყვას არ იტყვის, თვითონ იმათ მაინც ნახავ.

მართალი გითხრათ, გამოჩენილი მამულის შვილების ყურება როგორღაც ძალიან მიყვარს; მინდა იმათი ხასიათი, იმათი ჩვეულება, იმათი აზრი ამოვიკითხო. რაღაც უცნაური ძალა მიმიზიდავს, რაღაც ახირებული, თითქო ბავშური, ცნობის-მოყვარეობა მაიძულებს, რომ შევჩერებოდე და ვათვალიერებდე იმათ..

ალტონ სე იყო... მაგრამ ვინც იყო ეს ახლად მიცვალებული კაცი, ამას იმ მშვენიერი სიტყვის ზოგიერთი ალაგებიდამ გაიგებთ, რომელიც გამბეტტამ წარმოსთქვა იმის საფლავზე და რომლიდამაც ზოგიერთი ალაგები მომყავს:

„... შთამომავლობით, დაბადებით ალტონ სე იმ საზოგადოების წრეს ეკუთვნოდა, რომელსაც კეთილშობილად და ხალხის მოთავედ მიაჩნია თავის თავი. ყმაწვილობიდამვე სიძულვილი ჩაუვარდა იმას გულში ამ არისტოკრატიისა, რომელსაც თვითონვე ეკუთვნოდა. არისტოკრატიაში იმას შეეძლო ბრწყინვალე ალაგი დაეჭირა, აქ იმას ყველა სიკეთე მოელოდა; ყველაფერი იქით იწვევდა. მაგრამ იმან გასწყვიტა კავშირი არისტოკრატიასთან, არ უნდოდა, რომ მათთან რამე ერთობა ჰქონოდა: ღარიბს, ხალხს შესწირა იმან თავის სიცოცხლე, იმ დასში ჩადგა, რომელსაც დემოკრატია შეადგენს. თავის დღეში არ მიუხედავს იმას უკან, თავის დღეში სინანული არ უგრძვნია იმას, რომ არისტოკრატიას მოშორდა. გული ეუბნებოდა, რომ შენ კარგი, სამართლიანი საქმისთვის შეგიწირავს თავიო; გამჭრიახე გონება ჩვენკენ უჩვენებდა იმას გზას, ჩვენს დასში ჩადგომას ურჩევდა, საფრანგეთის მომავლისა, დიდებისა და თავისუფლებისაკენ...

„... ის მოკვდა იმავე იმედით, როგორითაც ცხოვრებდა. სიკვდილის წინ ის ამბობდა: „მე ვშორდები ამ სოფელს, მაგრამ, მე მგონია, რომ რესპუბლიკის ამომავალ ვარსკვლავს ვხედავ. და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვარსკვლავი აღმობრწყინდება. გარდაეცით ეს ჩემ მეგობრებს; უთხარით იმათ, რომ მე იმავე რწმუნებით ვკვდები, რა რწმუნებაც მთელ სიცოცხლეში მქონდა: თავისუფლებისა და საფრანგეთის.“

„ალტონ სე იყო ის კაცი, რომელიც თავისუფლებისა და რესპუბლიკისათვის იბრძოდა, და იბძოდა მაშინ, როდესაც ჩვენი მომხრეები თითო-ოროლობით ითვლებოდნენ. ის იყო ადამიანის თანასწორობისა, დემოკრატიისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი. იმას იმედი ჰქონდა ჩვენი ხალხის გონიერებისა და კეთილშობილური გრძნობისა.

„საყვარელნო თანა მემამულენო! ჩვენი პარტია დღითი დღე მატულობს, თან და თან ვრცელდება. მალე მთელი საფრანგეთი დემოკრატიულ რესპუბლიკად გადაიქცევა. ეს გარემოება ანუგეშებდა ალტონ სეს უკანასკნელ დღეებში, საფრანგეთის მმართებლობის იდეალად იმას ძველი ათინის რესპუბლიკა მიაჩნდა ჰენრიხ ჰეინე, რომელიც კარგათ იცნობდა ალტონ სეს, ამბობს იმათზე: რომ ის უკანასკნელი ათინელი არისო.“ ამისთანა კაცი ყოველთვის უნდ გვახსოვდეს. ის მთელი სიცოცხლე სამართლიანობისთვის იბრძოდა. ჩვენი იდეალი, უფალნო, კიდევ უფრო მაღალი და ვრცელი უნდა იყოს: სრული თანასწორობა და სამართლიანობა. ალტონ სე ვერ მოესწრო ბრწყინვალე, ყოვლად შემძლებელი დემოკრატიის ნახვას, იმან მხოლოდ იმის ამოსვლა ნახა. იმის სიცოცხლე იმ მაღალი, უზენაესი საქმისთვის იყო შეწირული, რომელსაც რესპუბლიკა ეწოდება!“

×

მე გარდმოვეცით მეხუთედი ნაწილი ამ სიტყვისა, რომელსაც ჩემს თარგმანში, უეჭველია, დედნის მეათედი სიმშვენიერე და ძალა აკლია. ამას დაუმატეთ გამბეტტას მაღალი, გულში და ძვალ-ხორცში გამტანი ხმა, გრძნობით ლაპარაკი, ორატორული თვისებები—და თქვენ მიხვდებით, თუ როგორი გავლენა უნდა ჰქონოდა ამ სიტყვას მაყურებლებზე. სიტყვის გათავების შემდეგ ორი ათას კაცზედ მეტმა ერთ ხმით დაიყვირეს: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ და ამ ყვირილით მოსდევდნენ უკან გამბეტტას, სანამ სასაფლაოს ალაყაფის კარებიდამ არ გამოვიდა და ფიაკრში არ ჩაჯდა. ს. მესხი.

*) პოლ მორან (Paul Morin)—ნაციონალური კრების დეპუტატი.

# ნარევი

სპარსეთში ამ ხანათ დიდი თოვლი მოსულა და ხელახლავ იმიშვიან შიმშილობას. ამას გარდა გრიგალს მრავალი სახლები დაუნგრევია, რომელთ შორის ყეენის სასახლეც არის გაოხრებული. ეხლა „ძე მზისა“ შაინ-შაჰი ბამბის კარავში დგას თურმე.

რაღა ბუნების რისხვა ეჭირვება საბრალო სპარსეთს! განა უმეცრების, სიღარიბის და მტარვალობის რისხვა არ კმაროდა მისთვის?!...

---

ღენერალი პავია ამ ჟამათ პარიჟში არის. ეს ის კაცია, რომელმაც ეხლა ხანათ თავის სალდათებს კონდახებით გამოაყრევინა ესპანიის ხალხის წარმომადგენელი კრება, კორტესები, ნაციონალური სასახლიდამ. სახელ განთქმული ღენერალი იმ წამსვე მიუღია მაკ-მაჰონს თურმე და კარგა ხანს დარჩენილან ერთად.

პაი ხუმრობაა, თუ მაკ-მაჰონი პავიას მაგალითს აპირებს წაბაძვას! იქნება გამოცდილმა ესპანიის ღენერალმა მოახსენა მარშალს:“ მაცალე ერთ ღამეს და მაგ მყვირალა ხალხს ვაყურებინებ მათ სეირსო!“

რა სასაცილო რამ იქნება!

---

როშფორი ნიუიორკში მისულა. იქიდგან როშფორი ლონდონში წავა, სადაც დაიწყებს ჟურნალის „ფანრის“ გამოცემას. ამბობენ საშინლად დაფთხობილი არიან თურმე ამ გესლიანი და მახვილი მწერლის მტერები.

---

გაზეთი რაპპელ კარგი ხანია ბეჭდავს როშფორის ახალს რომანს. ვიქტორ ჰუგო გაგიჟებულია თურმე ამ რომანის მშვენიერებით. ამბობენ, დიდი ხანია ევროპის ლიტერატურაში მზგავსი არაფერი დაწერილა.

---

ამერიკის კონგრესში ერთ წევრს გამორიცხვას უპირებდენ, რადგანც ის მორმონის სექტისა იყო. ე. ი. რომელიც მრავალ ცოლობას აღიარებს. ამ საგანზედ დიდი დაობა და ჩხუბი ჰყოფილა. თითონ ეს მორმონი კონგრესის წევრი ამბობდა, რომ მე მრავალ ცოლობას აღვიარებ, მაგრამ მეკი ერთის მეტი არ მყავსო.

ამის შემდეგ მორმონი ისევ თავის ადგილს დაარჩინეს.

---

სპარსეთიდამ იწერებიან, რომ ერთი თვის განმავლობაში პური ერთი-ორად გაძვირდაო. ძოელიან შიმშილს. ამბობენ, რომ სპარსეთის ტახტის მემკვიდრე აპირებს ადრიბეჟანის დარებას, პურის გაძვირების მიზეზის გამოკვლევას და გლეხ-კაცების მდგომარეობის გაგებას. შემდეგ ის ისეთის ახალის კანონის გამოცემას ეცდება თურმე, რომელიც მიწა წყლის მექონე ხალხის გაჭირებას შეამსუბუქებს. აი ღმერთო! როგორ საკვირველი არ არის: ყეენის მემკვიდრე—ხალხში შერევას აპირებს, მასზედ გული ეწვის!

---

ერთი ინგლისური გაზეთი „Daily Telegraph“ ას სამოცდა ათი ათასი ეკზემპლიარი იბეჭდება (170,000). როგორც სჩანს. „დროებაზედ“ ცოტათი მეტი ხელის მომწერი ყოლია ამ გაზეთს.

---

ლონდონის გაზეთს „Times“ ეხლა პარიჟიდამ კორრესპონდენციები ტელეგრაფით მისდის თურმე, ასე რომ პარიჟში და ლონდონში ერთ დროს ტყობილობენ ამბებს.

---

კემბრიჯის უნივერსიტეტის კრებას გადაუწყვეტია, რომ მკვდრების დაწვა უნდა შემოვიღოთო.

არ იქნებოდა ცუდი, რომ ზოგიერთი ცოცხლების დაწვასაც—რომელიც მკვდრებსა ჰგვანან—გააჩენდენ.

---

ვენაში ერთს ახალ გაზდა რუსს გაუქურდავს თ. დიმიტრი ჭავჭავაძე. მოპარული ნივთების ფასი ოცდაათი ათას მანეთამდის ადის თურმე. დაკარგულ ნივთებში გარევია ღვთის მშობლის ძვირფასი თვლებით გაწყობილი ხატი, რომელზედაც წერებულა: „საქართველოს დედოფლისგან“ ჭავჭავაძე აფიცერია და რუსის სამსახურში არის.

ალბათ არაფრათ კმაყოფილი ...... „საქართველოს დედოფლის“ ნაჩუქარი ხატი თ. ჭავჭავაძეზედ, თორემ რასთვის დასტოვებდა ძველ პატრონს?

---

— ოგაიოს შტატის (ჩრდილოეთის ამერიკაში) უნივერსიტეტში მათემატიკის პროფესსორად ერთი ყმაწვილი ქალი რებეკკა რეველ დაუნიშნავთ.

---

— პროფესსორი ვირხოვი ამტკიცებს თურმე, რომ მრავალი ფორთოხალის ჭამით კაცს ნაწლევებში ერთ ნაირი მატლები უჩნდება, რომელიც ძალიან შემაწუხებელიაო. იქნება ამან მოაშოროს ჩვენებური ქალები, რომელნიც, თუ „ფორთოქალი“ არ მიართვი, სხვა ხილს როდილა კადრულობენ.

---

— ლონდონის ქალაქი სიგრძით ოცდა ოთხი ვერსი არის თურმე და სიგანით თორმეტი, თუ ცამეტი. სიდიდით შვიდი პარიჟის ოდენია თუ პარიჟად მთელ იმ ალაგს მივიღებთ, რაც ციხეებით შემოზღუდულია. მთელი ქალაქი ოცდა სამი ათასი ქუჩით არის დაყოფილი. ამ ქუჩების სიგრძე ლონდონისა და ინდოეთის კუნძულის ცეილონის სიშორეს უდრის. ქალაქში ათასი ეკლესია არის. თითქმის ნახევარი მილლიონი გაზის ფანარი ანათებს ყოველღამ ამ უზარმაზარ ქალაქს, რომელშიაც სამ მილიონზედ მეტი მცხოვრებია.

# განცხადებანი


ისყიდება ხელ-ნაწერი მიმოვლა წმინდა ადგილებისა იერუსალიმისა და სხვა პალესტინისა და ეგვიპტის ქალაქებში და უდაბნოებში. მოგზაურობის აღწერა იწყება თფილისიდამვე. ვისაც ამ მოგზაურობის დაბეჭდვა სურს, ხელნაწერის ყიდვა შეუძლიან თვითონ მოგზაურის გაღრი-ბეგ ბასტამოვისგან, არტემ ქეთხუდოვის სახლებში.

---

ბერენშტამის და ვართანოვის წიგნების მაღაზინში და ივანოვის ბიბლიოთეკაში, თფილისს, და ლორთქიფანიძისაში, ქუთაისს,

ისყიდება რუსული წიგნი:

ქუთაისის მაზრის სამსაჯულო.

პროცესსი ნ. ი. ნიკოლაძისა, რომელსაც მაზრის სამსაჯულოს შეურაცხყოფას აბრალებენ.

ფასი ორი შაური.

ქალაქს გარეთლებს შეუძლიანთ ორი ორშაურიანი ფოჩტის მარკა გამოგზავნონ ამ წიგნის ფასად.

---

ივანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება

ქართულ-ფრანცუზული ლექსიკონი,

შედგენილი ივ. როტინიანცისაგან.

ფასი ერთი აბაზი

---

ქალაქს თბილისში

ვართანოვის წიგნების მაღაზიაში ისყიდება

მცენარეთა ლექსიკონი.

ლათინურს, რუსულს და ქართულს ენებზედ შედგენილი თ. რაფ. დ. ერისთავის-მიერ

ფასი ათი შაური.

---

ქალაქს თფილისში,

სემინარიას ქვეშ სარდაფში ისყიდება

ნამდვილი ბუნებითი

კახური ღვინოები

თ. რ. და ი. ერისთავებისა

და სხვა კახეთის მემამულეთა ვენახებისა

თვითოული ბოთლის ფასი

ერთის აბაზიდგან მანეთ ნახევრამდის.

---

ნაფიცი ვექილის თანა-შემწე ვასილი გიორგის ძე მაჩაბელი კისრულობს კავკასიელი საქმეების ვექილობას სხვა და სხვა სამართველოებში და უმთავრესად სენატში. აგრეთვე სპრავკების გაგზავნას. თითეული სპრავკისთვის უნდა გამოგზავნოთ ხუთი მანეთი.

ადრესი: въ Петербургъ, Малая Садовая домъ № 8, кв. № 24.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Іюня 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.